# თბილისი დიდი ძიუდოს მასპინძელია!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 დეკემბერი, შაბათი, 1988 წ. № 240 (9907) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## დღეს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში სტუდენტთა შორის

**სარბიელზე ვიხილავთ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის წარმომადგენლებს, მსოფლიო, ევროპის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს.**

ЧЕМПИОНАТ МИРА 1988 ТБИЛИСИ

**გუშინ** სპორტის სასახლეში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელსაც ჟურნალისტების გარდა ესწრებოდნენ ჩემპიონატის მზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, და ასპარეზობაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები, მწვრთნელები, მსაჯები. პრესკონფერენციაზე ინფორმაცია გააკეთეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ, სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ბ. როგატინმა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, ჩემპიონატის ჩატარების ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელმა ვ. შუბლაძემ.

პრესკონფერენციაზე სიტყვა ითხოვა გფრ-ის დელეგაციამ, რომელმაც იქვე 760 დასავლეთგერმანული მარკა შეიტანა მიწისძვრისაგან დაზარალებული სომხეთის მოსახლეობის დახმარების ფონდში. სამხრეთ კორეის დელეგაციამ გაიღო 200 დოლარი, იტალიელმა მსაჯმა არბერ პოლვილარმა შეიტანა პირადი თანხა 50 ათასი ლირი. უცხოური ვალუტა ჩააბარა დაზარალებულთა დასახმარებლად აგრეთვე მონღოლეთის დელეგაციამ.






სურათებზე: სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდი (მარცხნივ); იაპონელი ძიუდოისტები თბილისის სპორტის სასახლესთან; ქვევით — აკრედიტაციის ცენტრში; მარჯვნივ — ცნობილი იაპონელი ძიუდოისტი იამასიტო აკრედიტაციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

## ჩემპიონატის დებულებიდან

**17-21 დეკემბერს,** თბილისში ჩატარდება სტუდენტ ძიუდოისტთა მეათე მსოფლიო ჩემპიონატი ფისუ-ს და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს ეგიდით. მასში გამოსვლის უფლება აქვთ საუნივერსიტეტო სპორტისა და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციების მონაწილე ქვეყნების სპორტსმენებს. შეჯიბრებაში დაიშვებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უნივერსიტეტებში ან სხვა ანალოგიურ სასწავლებლებში, აგრეთვე ყოფილი სტუდენტები, რომლებმაც სწავლა დაამთავრეს აღნიშნული ტურნირის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე (მონაწილეთა ასაკი: 1960 წ. 1 იანვარი — 1970 წ. 31 დეკემბერი).

პირად პირველობაში ყოველ ქვეყანას შეუძლია გამოიყვანოს მხოლოდ ერთი მონაწილე, გუნდურში — სამიდან ხუთამდე. პირად შეჯიბრებაში მოასპარეზეებს გუნდურ ტურნირში გამოსვლის უფლებაც აქვთ. ასევე ნებადართულია სხვა წონის მოჭიდავეთა მონაწილეობა აბსოლუტურ კატეგორიაში.

პირადი ასპარეზობა ჩატარდება ვაჟებისთვის: 60, 65, 71, 78, 86, 95, მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიებში, ქალებისთვის: 48, 52, 56, 61, 66, 72, მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიებში. ბრძოლის ხანგრძლივობა: ვაჟებისთვის — 5 წუთი, ქალებისთვის — 4 წუთი.

გუნდური შეჯიბრების ჩატარე-

იხ. მე-2 გვ.

## ტურნირის სტუმრები

**სტუდენტთა** შორის ძიუდოს პოპულარიზაციას და განვითარებას კოორდინაციას უწევს რამდენიმე მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაცია. ესენია:

**ფისუ** — საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია,

**ფიჟი** — ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია,

**სოკი** — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი,

**მსფი** — საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია და

**კისკა** — მეთვალყურეობის, კონტროლისა და არბიტრაჟის საერთაშორისო კომისია.

ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ოფიციალურ პირებად არიან მოწვეულნი:

**კამპანა** (ბელგია) — ფისუ-ს გენერალური მდივანი,

**ბოტელბერგი** (ბელგია) — ფისუ-ს საკონტროლო კომისიის წევრი,

**მესნერი** (საფრანგეთი) — ფისუ-ს საერთაშორისო ტექნიკური კომისიის წევრი,

**პრშიბილსკი** (პოლონეთი) — ფისუ-ს სამედიცინო კომისიის წევრი და

**შაფკი შასიკ იუნესი** (ეგვიპტე) — ფიჟ-ის თავმჯდომარე.





## კახაბერ წაქაძეს ბადალი არ ჰყავდა

**საქართველოს** თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა შორის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერია ბაკურიანელი სპორტის ოსტატი, დინამოელი კახაბერ წაქაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი წარმატებით გამოდის სხვადასხვა შეჯიბრებებში, ასაკთან ერთად (იგი 1969 წელსაა დაბადებული) იძენს გამოცდილებას, იმაღლებს ოსტატობას.



კახაბერ წაქაძე

ამ დღეებში დაიწყო ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონატის 1988-89 წლების ციკლი. ფაქტიურად ამ ციკლის პირველი ასპარეზობა გაიმართა შარშან, ახლა ქალაქ ჩაიკოვსკში მეორე ტურის შეჯიბრება გაიმართა. პროგრამა 70 და 90-მეტრიან ტრამპლინებზე ასპარეზობას ითვალისწინებდა, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ვერ მოასწრეს 90-მეტრიანი ტრამპლინის მომზადება და ორივე ასპარეზობა 70-მეტრიან ტრამპლინზე ჩატარდა. შეჯიბრებაში ჩაება 99 მხტომელი.

მივიღეთ სასიხარულო ცნობა: კახაბერ წაქაძე ორივეჯერვე უძლიერესი იყო და პირველი ადგილი დაიკავა. პირველ დღეს ჩვენმა სპორტსმენმა 201.725 ქულა მოაგროვა, მეორე იყო ლენინგრადელი ალექსანდრ ლისოვი — 196,520, მესამე — ალმაათელი სერგეი ბრიზგალოვი — 195,315. მეორე დღე: 1. კ. წაქაძე — 211,9, 2. ალექსანდრ ტარონოვი — 207,3; 3. სერგეი იარუშევიჩი — 207,0.

## საქველმოქმედო მატჩები

**მთელი** მსოფლიო შეძრა სომხეთში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. განსაცდელში ჩავარდნილი სომეხი მოსახლეობის დასახმარებლად დაირაზმა მთელი მსოფლიოს ხალხი, უბედურების პირველი დღიდანვე სომხეთი თვალნათლივ გრძნობს იმ თანადგომას, რომელსაც ასე საჭიროებს დღეს. ჩვენს ქვეყანაში არ დარჩენილა არც ერთი საწარმო თუ დაწესებულება დახმარების ხელი რომ არ გაეწვდინა დაზარალებული მოსახლეობისთვის. თანადგომაში, რაღა თქმა უნდა, სპორტულ ორგანიზაციებს მიუძღვით დიდი წვლილი.

როგორც „ლელო“ უკვე იუწყებოდა, სულ ახლახან ცნობა მოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. ამ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბი ბრემენის „ვერდერი“ ერევანში საქველმოქმედო მატჩს გამართავს „არარატთან“. მატჩის მთელი შემოსავალი გადაირიცხება დახმარების ფონდში, შეხვედრის თარიღი უახლოეს ხანში დადგინდება.

ასეთივე საქველმოქმედო მატჩის გამართვისა და დაზარალებულთა დახმარების სურვილი გამოთქვა იტალიის ცნობილმა საფეხბურთო კლუბმა „ნაპოლიმ“, რომელმაც საასპარეზოდ თბილისის „დინამო“ აირჩია. ამ კლუბში დიეგო მარადონასთან ერთად ბევრი სხვა გამოჩენილი ვარსკვლავიც გამოდის.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი მოსკოვიდან იტალიაში 21 დეკემბერს გაემგზავრება. დინამოელთა შემადგენლობაში არიან: გაბელია, ხაპოვი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, კეტაშვილი, გოგიჩაიშვილი, ცაავა, ცვეიბა, რევიშვილი, თევზაძე, აფციაური, ფანცულაია, ყაველაშვილი, თარბა, სვანაძე, ქეცბაია. კოლექტივს ხელმძღვანელობენ მთავარი მწვრთნელი დ. ყიფიანი, მწვრთნელი მ. ხურცილავა და გუნდის უფროსი ვ. გუცაევი.

## ლაშა ჯანჯღავას ახალი მიღწევა

**ბელგრადში** დამთავრდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელსაც უნდა დაესახელებინა „მსოფლიო თასის“ გათამაშების მომავალი ციკლის შესარჩევი ფინალური შეჯიბრების 8 მონაწილე. ტურნირი, როგორც იცით, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. 7-7 ქულა მოაგროვეს იუგოსლაველმა კრუნოსლავ ჰულაკმა და საბჭოთა მოჭადრაკეებმა — იგორ ნაუმკინმა, ევგენი პიგუსოვმა, მიხეილ გურევიჩმა, ლევ ფსახისმა და ლევ პოლუგაევსკიმ. 6,5-6,5 ქულა აქვთ გენადი ტიმოშჩენკოს, ევგენი ბარეევს, მაიკლ უილდერს (აშშ), ლაშა ჯანჯღავას, მარგეირ პეტურსონს (ისლანდია), კორან დისლარს (იუგოსლავია), ჰესუს ოლაფსონს (ისლანდია), იოსეფ დორფმანსა და ევგენი სვეშნიკოვს (ორივე — სსრ კავშირი). ამრიგად, ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს ჰულაკმა, ნაუმკინმა, პიგუსოვმა, გურევიჩმა, ფსახისმა, პოლუგაევსკიმ, ტიმოშჩენკომ და ბარეევმა (ამ ორმა უკანასკნელმა უკეთესი კოეფიციენტის წყალობით).

როგორც ხედავთ, ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი ლაშა ჯანჯღავა ფინალს მიღმა დარჩა, მაგრამ იმასაც შევამჩნევდით, მას კოეფიციენტმა უმტყუნა მიზნის მიღწევაში. თუმცა, ლაშამ არანაკლები წარმატება მაინც მოიპოვა — დიდოსტატის პირველი ბალი შეასრულა. ეს ახალგაზრდა მოჭადრაკის დიდი გამარჯვებაა. ვულოცავთ მას და მის მწვრთნელებს ალექსანდრე ბოკუჩავასა და ჰენრიხ არნშტეინს (ასკ-ს მოჭადრაკეთა მწვრთნელს. ლაშა ახლა სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის) ამ წარმატებას.

# ჩემპიონატის დებულებიდან

(დასასრული)

ბის პრინციპი ასეთია: ვაჟთა პირველობისთვის, როგორც წესი, იბრძოლებენ ხუთკაციანი კოლექტივები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან 65, 71, 78, 86 და +86 წონის ძიუდოისტებით; ანალოგიური პრინციპით იასპარეზებენ ქალთა გუნდები შემდეგ წონებში — 52, 56, 61, 66 და +66 კგ.

სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიოს X ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს: საბჭოთა კავშირმა, შვეიცარიამ, ავსტრალიამ, იტალიამ, ბრაზილიამ, ავსტრიამ, მალტამ, იუგოსლავიამ, ალჟირმა, ჰოლანდიამ, აშშ-მ, კანადამ, ბელგიამ, ბულგარეთმა, ჩინეთმა, სენეგალმა, ფინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, გფრ-მ, ზაირმა, კონგომ, ესპანეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, კვიპროსმა, გდრ-მ, ისრაელმა, იაპონიამ, საფრანგეთმა, სამხრეთ კორეამ, მონგოლეთმა და კუბამ.

როგორც ხედავთ, ტურნირის წარმომადგენლობა ერთობ მრავალფეროვანია. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა ევროპის, აზიის, აფრიკის, ორივე ამერიკისა და ავსტრალიის გუნდებმა, ფაქტიურად მთელმა სამყარომ, რაც სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს, შეჯიბრების მონაწილეთა სია, ცხადია, პირობითია და არ გახლავთ საბოლოო. მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ დამატებით ინფორმაციას სპორტის მოყვარულები თვით ტურნირის დღეს მიიღებენ.



ფრანგი ძიუდოისტები სასტუმრო „აჭარიდან“ შინ აგზავნიან საფოსტო ბარათებს; მარჯვნივ — პოლონელი ძიუდოისტი ქალები საწვრთნელ ვარჯიშზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ

## შეჯიბრების პროგრამა

პირადი ჩემპიონატი

**17 დეკემბერი.** ქალები (+72 და 72 კგ) და ვაჟები (+95 და 95 კგ). დასაწყისი — 11.00. ჩემპიონატის საზეიმო გახსნა — 20.00. ნახევარფინალები და ფინალები— 20.30.

**18 დეკემბერი.** ქალები (61 და 66 კგ) და ვაჟები (78 და 86 კგ). დასაწყისი — 11.00. ნახევარფინალები და ფინალები — 19.30.

**19 დეკემბერი.** ქალები (52 და 56 კგ) და ვაჟები (65 კგ და 71 კგ). დასაწყისი — 11.00. ნახევარფინალები და ფინალები — 19.30.

**20 დეკემბერი.** ქალები (48 კგ და აბსოლუტური კატეგორია) და ვაჟები (60 კგ და აბსოლუტური კატეგორია). დასაწყისი — 11.00. ნახევარფინალები და ფინალები — 19.30.

გუნდური შეჯიბრება

მონაწილეობენ: ვაჟთა (65, 71, 78, 86 და +86 კგ) და ქალთა (52, 56, 61, 66 და +66 კგ) კოლექტივები.

**21 დეკემბერი.** დასაწყისი — 12.00. ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები— 19.00. ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

## საერთაშორისო სარბიელზე

**1988 წელი** ოლიმპიადის წელი იყო და არ არის გასაკვირი, რომ ყველა სპორტული მაჩვენებელი როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში სწორედ ოლიმპიური საზომით იზომება. ოლიმპიადის პროგრამაში ძიუდო პირველად 1964 წელს შეიტანეს (ტოკიო, XVIII თამაშები). ამომავალი მზის ქვეყანაში საქართველოს ძიუდოისტებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს (ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიქვილაძე) და თავისებური საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყველა შემდგომ წარმატებას როგორც ოლიმპიურ, ისე მსოფლიოსა და ევროპის სარბიელზე.

საქართველოს ძიუდოისტებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ყველა ოლიმპიადაში, რომელშიც კი საბჭოთა სპორტსმენები გამოდიოდნენ (ტოკიოში, მიუნხენში, მონრეალში, მოსკოვსა და სეულში). ორჯერ ისინი (შოთა ჩოჩიშვილი 1972 წელს და შოთა ხაბარელი 1980 წელს) ოქროს მედალს ფლობდნენ, ორჯერ — ვერცხლისა (რამაზ ხარშილაძე 1976 წელს და თემურ ხუბულური 1980 წელს) და ექვსჯერ ბრინჯაოს ჯილდოს (ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიქვილაძე, როგორც ზემოთ ვთქვით, 1964 წელს, გივი ონაშვილი 1972 წელს, შოთა ჩოჩიშვილი 1976 წელს, ამირან ტოტიკაშვილი და გიორგი თენაძე 1980 წელს).

მაგრამ ქართველ ძიუდოისტთა საერთაშორისო დებიუტი უფრო ადრე შედგა, ჯერ კიდევ 1962 წელს ესენში, ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ანზორ კიკნაძემ და ანზორ ქიბროწაშვილმა ოქროს მედლები დაიმსახურეს. მათ გარდა კონტინენტის უმაღლეს ტიტულს ფლობდნენ გივი ონაშვილი და ჯიბილო ნიჟარაძე, თემურ ხუბულური და დავით ბოდაველი, ანზორ მარტყოფლიშვილი და როინ მაღალთაძე, კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი. ჩვენ გვყავდა და გვყავს ევროპის ჩემპიონატების პრიზიორებიც, საკმაოდ სახელმოხვეჭილი ოსტატები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართველი სპორტსმენის მკლავისა და მუხლის ძალას.

მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოს ძიუდოისტთა წარმატებები უფრო მოკრძალებულია, თუმცა გამორჩეული ოსტატები აქაც გვყავს. მათ შორის უპირველესი თემურ ხუბულური გახლავთ, რომელიც ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი. საპრიზო ადგილები სხვადასხვა წლებში მოპოვებული აქვთ ანზორ კიკნაძესა და ანზორ ქიბროწაშვილს, გივი ონაშვილსა და შენგელი ფიცხელაურს, ჯიბილო ნიჟარაძესა და რამაზ ხარშილაძეს, დავით ბოდაველს, ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს შოთა ჩოჩიშვილსა და შოთა ხაბარელს...

ძიუდო ქართველი ახალგაზრდების საყვარელი სპორტია და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ისინი არ უღალატებენ თაობების ტრადიციებს.

ახლა კი სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა სიას გადავხედოთ. ბევრი მათგანი, სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა.

**უმსუბუქესი წონა (60 კგ)**
1. კიმ ჩე იუპი (ს. კორეა)
2. კევინ ასანო (აშშ)
3. ამირან ტოტიკაშვილი (სსრკ)
3. სინძი ხოსოკავა (იაპონია)

**ნახევრადმსუბუქი წონა (65 კგ)**
1. ლი კიონ კინი (ს. კორეა)
2. იან უბ პავლოვსკი (პოლონეთი)
3. ესუკე იამამოტო (იაპონია)
3. ბრიუნო კარაბეტა (საფრანგეთი)

**მსუბუქი წონა (71 კგ)**
1. მარკ ალექსანდრი (საფრანგეთი)
2. სვენ ლოლი (გდრ)
3. გიორგი თენაძე (სსრკ)
3. მაიკლ სუეინი (აშშ)

**ნახევრადსაშუალო წონა (78 კგ)**
1. ვალდემარ ლეგენი (პოლონეთი)
2. ფრანკ ვინეკე (გფრ)
3. ბაშარ ვარაევი (სსრკ)
3. ტორსტენ ბრეშო (გდრ)

**საშუალო წონა (86 კგ)**
1. პეტერ ზაიზენბაჰერი (ავსტრია)
2. ვლადიმერ შესტაკოვი (სსრკ)
3. ბენ სპეიკერსი (ნიდერლანდები)
3. აკინობუ ოსაკო (იაპონია)

**ნახევრადმძიმე წონა (95 კგ)**
1. აურელიო მიგელი (ბრაზილია)
2. მარკ მაილინგი (გფრ)
3. რობერტ ვან დე ვალე (ბელგია)
3. დენის სტიუარტი (დიდი ბრიტანეთი)

**მძიმე წონა (+95 კგ)**
1. ხიტოსი საიტო (იაპონია)
2. ჰენრი შტიორი (გდრ)
3. გრიგორი ვერიჩევი (სსრკ)
3. ჩო ენ ჩერი (ს. კორეა)

სეულში საბჭოთა ძიუდოისტებმა ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს, 19 ქულა დააგროვეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს. ოთხი მედალი ჰქონდათ იაპონელებს (ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოსი), სამი — ოლიმპიადის მასპინძლებს, სამხრეთკორეელებს (ორი ოქროსი და ერთი ვერცხლის), მაგრამ გუნდურ ჩათვლაში 17,5-17,5 ქულა დააგროვეს და მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. თითქოს პარადოქსია: გამარჯვებული გუნდი უჩემპიონოდ, სამაგიეროდ იგი ყველაზე სტაბილური კოლექტივი გამოდგა.

ოლიმპიური ტურნირის ჯილდოები 13 ქვეყნის სპორტსმენებმა გაინაწილეს. ეს ძიუდოს მზარდ პოპულარობაზე მიგვანიშნებს.

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| ს. კორეა | 2 | — | 1 |
| იაპონია | 1 | — | 3 |
| პოლონეთი | 1 | 1 | — |
| საფრანგეთი | 1 | — | 1 |
| ავსტრია | 1 | — | — |
| ბრაზილია | 1 | — | — |
| გდრ | — | 2 | 1 |
| გფრ | — | 2 | — |
| სსრ კავშირი | — | 1 | 4 |
| აშშ | — | 1 | 1 |
| ნიდერლანდები | — | — | 1 |
| ბელგია | — | — | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | — | — | 1 |

# „ვაკუუმს“ არაფერი ეშველება

**როგორი** უნდა იყოს ფიზკულტურა სკოლაში? აი, პრობლემა, რომელიც სასკოლო გარდაქმნამ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ახალი, უფრო ქმედითი კონცეფცია უნდა წარმოქმნას, თორემ ისეც რეპუტაციაშერყეულ ფიზკულტურის გაკვეთილს — გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ უფროსკლასელთა მხოლოდ 9 პროცენტი იჩენს მისდამი ინტერესს — წარმატება არ ექნება. ბევრის აზრით, ახალგაზრდების ასეთი დამოკიდებულება თვით გაკვეთილის შინაარსმა განაპირობა, კერძოდ იმან, რომ სასკოლო ფიზიკური აღზრდა ფიზიკურ ვარჯიშს გაუტოლდა და უკან გვრჩება ფიზკულტურის სხვა მადლი.

დღეს არის მოსაზრებაც, რომ აღზრდის ახალი კონცეფცია თვით მასწავლებელთა ხელახალ მომზადებას უნდა ეყრდნობოდეს, რადგან სწორედ მათ აკლიათ ორგანიზატორული ჩვევები. ამიტომ ცხადია, რომ რაგინდ საინტერესოც უნდა იყოს სასწავლო პროგრამა, ისინი მოსწავლეთა თვალში ვერ აამაღლებენ საგნის პრესტიჟს და თვით პროგრამასაც სრულად ვერ დაძლევენ.

ამ სიახლეებთან ერთად, რა თქმა უნდა, დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება მთავარი — მატერიალური ბაზა, რაშიც იგულისხმება კეთილმოწყობილი, თანამედროვე აღჭურვილობით მდიდარი სპორტული დარბაზი თავისი გასახდელებითა და სხვა საჭირო სათავსებით. ასეთი ნაგებობებით ჩვენი სკოლების უმრავლესობა დღეს თავს ვერ მოიწონებს. არადა, მოზარდთა ფიზიკური აღზრდა სულ უფრო გვახსენებს თავს და გვინდა თუ არ გვინდა, სკოლას სათანადოდ აღჭურვილი ბაზა უნდა ჰქონდეს. ალბათ ეს კეთილი სურვილი ამოძრავებდა თბილისის 166-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას, როცა ყავლგასული და საკმაოდ ამორტიზებული სასკოლო დარბაზის დანგრევა და მის ნაცვლად ახლის აშენება განიზრახა. პროექტით ეს უნდა იყოს ორდარბაზიანი (12X12; 24X12) შენობა, რომელსაც 240-ადგილიანი სააქტო დარბაზიც ექნება, ამ დარბაზის შესახებ „ლელოს“ მკითხველებმა წლევანდელი სასწავლო წლის დაწყებამდე შეიტყვეს წერილიდან „ყველას როდი სცხელა აგვისტოში“. მაშინ აღგვითქვეს, რომ მშენებლობა სულ მალე, 1989 წლის მაისში დამთავრდება და არც უდარბაზობის გამო წარმოქმნილი ვაკუუმი ღაასვამს დაღს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას — ამ მიზნით ახლომდებარე მე-100 საშუალო სკოლას გამოვიყენებთო.

სკოლის დირექტორ ა. ელიაურის ასეთმა გაბედულმა და ოპტიმიზმით აღსავსე განცხადებამ თავიდანვე დაგვაეჭვა, რადგან კარგად ვიცოდით ჩვენი მშენებლების ამბავი. ამ დღეებში კვლავ ვეწვიეთ სკოლას და იქ ნანახმა საბოლოოდ გადაგვიწურა ყოველგვარი იმედი, რომ მოსწავლეები დათქმულ დროში მიიღებენ ორ დარბაზს.

რაც შეეხება თვით მშენებლობას, რომელსაც საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტის მე-8 სამმართველო აწარმოებს (მმართველი ე. კობახიძე, სამუშაოთა მწარმოებელი გ. რაზმაძე), საკმაოდ არასახარბიელო ტემპით მიიწევს წინ. თბვად განსაჯეთ, დარბაზი ივლისში დაინგრა, ახლის საძირკველი კი მხოლოდ ოქტომბერში გაითხარა და დღეს მექანიზაციის შემოტანაზე ლაპარაკიც არ არის, რადგან, სამუშაოთა მწარმოებლის განცხადებით, სკოლის ნაწილი ჯერ კიდევ დასანგრევია. რა თქმა უნდა, ამის გამო მშენებლობის დამთავრების ვადა უფრო შორს გადაიწევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ფიზკულტურის მასწავლებელმა ე. ბალათურიამ გვითხრა, მოსწავლეებს პროგრამის 70 პროცენტი აუთვისებელი დარჩებათ. ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ახლავე ავტეხოთ განგაში, რადგან პროგრამის აუთვისებლობის გამო მოსწავლეები ვერ მოემზადებიან ვერც 60, ვერც 1000, 1500 და 2000 მეტრზე რბენაში, რაშიც მათ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩატარება მოუხდებათ. რაც შეეხებათ უმცროსკლასელებს, ვერც ისინი მიიღებენ სათანადო წრთობას, რადგან ახლა მათი ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლის დერეფნებში სამწყობრო მომზადებით ამოიწურება. არც მე-100 სკოლას გამოუჩენია მეზობლების მიმართ დიდი სტუმართმოყვარეობა, ვინაიდან მას თვითონ უჭირს — ვიწრო დარბაზს, სადაც ციკვის წრეც მეცადინეობს, გამტარუნარიანობა არა აქვს. „ხიზნები“ კვირა დილით ნიშნავენ იქ ფიზკულტურის საათს, რაც არავითარ პროგრამას არ ექვემდებარება.

დრო კი არ ითმენს, საცაა კარს მოგვადგება გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდები და ეს წელი ვაკუუმად დარჩება 166-ე საშუალო სკოლაში.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

წყალბურთელ გოგონათა და ქალთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი

# ქალებმაც, გოგონებმაც

**ბოლო** წლებში საქართველოს წყალბურთელმა ქალებმა და გოგონებმა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უძველესი გუნდების სახელი დაიმკვიდრეს. ისინი სხვადასხვა რანგის საკავშირო შეჯიბრებებში ხშირად საპრიზო ადგილებს იკავებენ და მათი მოთამაშეები სპეციალურ პრიზებსაც იმსახურებენ.

ასე იყო ახლახანს გამართულ ტრადიციულ საკავშირო ტურნირებში, რომლებიც ლვოვსა და ზაპოროჟიეში გაიმართა.

ლვოვში თბილისის „ივერიის“, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბების, გორკის ნაკრებისა და ლვოვის „ამაზონკის“ ქალთა გუნდები გამოდიოდნენ. აქ „ივერია“ წინასწარ შეხვედრებში მხოლოდ გორკის გუნდთან დამარცხდა, დანარჩენი მატჩები კი მოიგო და ტურნირის გამარჯვებულად მოგვევლინა.

„ივერიას“ შემადგენლობაში იყვნენ: ვიქტორია ივანოვა, ლელა გოჩალეიშვილი, ტატიანა ჩერნიშოვა, მაკა ხიზანიშვილი, ალიონა მარგიევა, ნატაშა აზატიანი, თამარ ლაშქარაშვილი, ია კორაშვილი, ნონა ეკიზაშვილი, მედეა ჯაბადარი, იანა და სოსანა მელოიანები, რუსუდან და ქეთევან გვანცელაძეები (მწვრთნელები ზურაბ ჩაჩავა და ვაჟა ჩერტკოევი).

ამ გუნდის მოთამაშეები ტატიანა ჩერნიშოვა და ნატაშა აზატიანი, თავის მხრივ, თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელ გოგონათა (1973-74 წ. წ. დაბადებულნი) გუნდს ავარჯიშებენ.

მათი აღსაზრდელები ზაპოროჟიეს საკავშირო ტურნირში გამოდიოდნენ. აქ თბილისელთა გარდა საასპარეზოდ თავი მოიყარეს კიევის, ხარკოვის, კიშინიოვის, ზლატოუსტისა და ზაპოროჟიეს გუნდებმა. ჩვენი გოგონები ხარკოველებთან და ზაპოროჟიელებთან დამარცხდნენ, დანარჩენი შეხვედრები კი მოიგეს და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდნენ.

ზაპოროჟიეში თბილისელთა ღირსებას იცავდნენ: ნინო გოგიტიძე, ირინა კუდინოვა, მარინე ბუხნიკაშვილი, მარინა სულეიმანოვა, ნონა ეკიზაშვილი, ია კორაშვილი, იანა მელოიანი, მზია გომელაური, მარინა და ლელა დავთიანები.

როგორც ხედავთ, „ივერიას“ მოთამაშეებმა ჩერნიშოვამ და აზატიანმა ორმაგ წარმატებას მიაღწიეს — ერთხელ როგორც წყალბურთელებმა, მეორედ — მწვრთნელის ამპლუაში.

ორმაგი წარმატება იზეიმეს ნორჩმა წყალბურთელებმა ეკიზაშვილმა, ია მელოიანმა და კორაშვილმა, რომლებიც „ივერიას“ შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ. უფრო სწორად, კორაშვილმა მესამე წარმატებაც იზეიმა, როცა ზაპოროჟიეში საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზიც დაიმსახურა.

# სპორტტექნიკურ კომისიაში

**საქართველოს** სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის ჩემპიონატის მონაწილეთა მიერ დისციპლინის დარღვევის საკითხები და დამნაშავეთა მიმართ შესაბამისი სანქციები გამოიტანეს. იმის გამო, რომ რესპუბლიკური საფეხბურთო გათამაშებები ახლა დამთავრებულია, სანქციები ძალაში შევა 1989 წლის სეზონში.

ჩხოროწყუს „სამეგრელოს" ფეხბურთელმა მ. კვირკველიამ მძიმე დანაშაული ჩაიდინა და მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მ. კვირკველიას 10 კალენდარული მატჩით აეკრძალა რესპუბლიკის შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება.

საერთოდ აეკრძალათ ოფიციალურ საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობა მახარაძის რაიონის „დვაბზუს" ფეხბურთელებს ი. დოლიძეს, ვ. დოლიძეს, თ. მაისურაძეს, რ. ხანჩალიას, ხოლო თვით დვაბზუს სტადიონი ორი კალენდარული თამაშითაა დისკვალიფიცირებული და პირობით — კიდევ ორი წლით.

საერთოდ აეკრძალათ ოფიციალურ საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობა აგრეთვე ბოგდანოვკის „ფარვანას" ფეხბურთელებს მ. გრიგორიანს და ვ. ბდოიანს, ხოლო ბოგდანოვკის სტადიონი დისკვალიფიცირებულია 3 თამაშით. ასევე მკაცრ, მაგრამ ღირსეულ ზომებს მიმართეს რუსთავის „მეტალისტის" ფეხბურთელთა მიმართ, რომლებმაც თამაშის დროს უდიერად დაარღვიეს წესი. ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა აეკრძალათ ნ. ზავრადაშვილს, ჟ. ამიდიანს, ლ. გრიგორაშვილს, ხოლო ამ გუნდის მწვრთნელი დ. გვენცაძის საკითხი განსახილველად გადაეცა რუსთავის სპორტკომიტეტს მისი მწვრთნელად მუშაობის მიზანშეუწონლობის შესახებ. გარდა ამისა, რუსთავის „მეტალისტის" გუნდი პირობით დისკვალიფიცირებულია ერთი წლით.

ეს სასჯელი რუსთავის „მეტალისტის" ფეხბურთელებმა დაიმსახურეს იმის გამო, რომ თბილისის უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრაში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს არბიტრს და თამაში ჩაშალეს.

ყოვლად დაუშვებელი დანაშაული ჩაიდინა თერჯოლის „საპოვნელას" ფეხბურთელმა ა. მგელაძემ, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. ა. მგელაძისთვის ეს პირველი შემთხვევა არაა, ამიტომაც მას საერთოდ აეკრძალა ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა დისკვალიფიკაცია მიეცათ ახალდაბის „მეფვეჯეს" ფეხბურთელებს ტ. ჩადუნელს, რ. რომაშვილს, თელავის „კახეთის" მოთამაშეს მ. ბიწკინაშვილს, თბილისის უნივერსიტეტის ფეხბურთელს უნდილაშვილს და ახალქალაქელ ეგიტიანს. ღირსეული სასჯელები გამოუტანეს სხვა გუნდების ფეხბურთელებსაც.

## წიგნის თარო

# მოგვითხრობს მიხეილ იაკუშინი...

**„1953 წლის ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე თბილისის „დინამოდან", რომელიც ლიდერობდა გათამაშებას, მოსკოვის „დინამოში" გადამიყვანეს. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ უარის თქმა არ შემეძლო. გადამწყვეტ მატჩს მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის მოსკოვის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნიდან მე თვალს ვადევნებდი უკვე როგორც ნეიტრალური პირი. თბილისელმა ფეხბურთელებმა სუფთად მოიგეს ეს მატჩი ანგარიშით 2:1..."**

თუ რა მოხდა შემდეგ, რატომ არ გახდნენ ქართველი ფეხბურთელები ქვეყნის ჩემპიონები უკვე მაშინ, ტაშკენტის „ოქროს" მატჩამდე 11 წლით ადრე, ამას და კიდევ სხვა მრავალ საინტერესო ამბავს შეიტყობენ გულშემატკივრები გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" მიერ 150 000 ტირაჟით ახლახან დასტამბული წიგნიდან „ფეხბურთის სამარადისო საიდუმლოება".

წიგნის ავტორია ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწვრთნელი ფეხბურთში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი. „ცბიერი მიხეი", როგორც მას ძველი ფეხბურთელები და გულშემატკივრები უწოდებდნენ, საბჭოთა ფეხბურთის ცოცხალი ისტორიაა.

იგი ოთხჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო მოსკოვის „დინამო" ექვსჯერ აიყვანა საფეხბურთო ოლიმპზე, რაც თავისებური რეკორდია ჩვენს ფეხბურთში. სხვადასხვა დროს — სამი ათეული წლის მანძილზე — იაკუშინი ავარჯიშებდა ქვეყნის მთავარ გუნდს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისათვის, აგრეთვე მოსკოვისა და თბილისის „დინამოს", ტაშკენტის „ფახთაქორს", მოსკოვის „ლოკომოტივს".

უბადლო ტაქტიკოსმა მ. იაკუშინმა ჯერ კიდევ ბრაზილიელებამდე გამოიყენა... „ბრაზილიური სისტემა: 4-2-4", შეიმუშავა იერიშებში მცველთა მოულოდნელი ჩართვის, თავდამსხმელთა მიერ დაცვის ხაზების დახმარების, შეტევის დროს „ორგანიზებული არეულობის" პრინციპები და სხვა.

ამ საინტერესო წიგნში, რომელსაც ავტორის არქივიდან „გამომზეურებული" 50-მდე ფოტოსურათი ახლავს, დაწვრილებითაა აღწერილი დაუვიწყარი შეხვედრები ბასკებთან, დიდბრიტანელებთან, უნგრელებთან, იუგოსლავიელებთან, თურქებთან, ფრანგებთან...

ჩვენი მკითხველი, ცხადია, განსაკუთრებული ინტერესით გაეცნობა სახელგანთქმული სპეციალისტის აზრს საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებზე — პაიჭაძეზე, ღოღობერიძეზე, ელოშვილზე, ჭკუასელზე, ხურცილავაზე, ბარქაიაზე, მესხზე, მეტრეველზე, ყიფიანზე... მ. იაკუშინი ხომ თბილისის „დინამოში" უფროს მწვრთნელად სამჯერ იყო მოწვეული.

**ოთარ ნოზაძე.**

## წარუმატებლობა ნახევარფინალში

მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში მიმდინარე ჭაბუკ ფეხბურთელთა „მერდეკის" საერთაშორისო ტურნირში (ასაკი 20 წლამდე) სსრ კავშირის ნაკრები ნახევარფინალში შეხვდა ავსტრიის „სვაროვსკი ტიროლის" კლუბს. ანგარიშით 2:1 (1:1) გაიმარჯვეს ავსტრიელმა ფეხბურთელებმა.

## უპირატესობა შვეციის მხარესაა

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სხდომის დღის წესრიგში იდგა კონტინენტის 1992 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის საკითხი. მასპინძლობის პრეტენზია ორ ქვეყანას ჰქონდა — შვეციას და ესპანეთს.

უეფა-ს ხელმძღვანელობა უპირატესობას შვედებს აკუთვნებს. საქმე ისაა, რომ 1992 წელს ესპანეთში ზაფხულის ოლიმპიური თამაშები იმართება და ეს გრანდიოზული ღონისძიება უკვე დიდ პრობლემებს სახავს ესპანელთა წინაშე. გარდა ამისა, ესპანეთში 1982 წელს უკვე მოეწყო დიდი საფეხბურთო ფორუმი — მსოფლიო ჩემპიონატი.

შვეციის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა ლენარტ იოჰანსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის ფინალური თამაშები ჩატარდება სტოკჰოლმში, გეტებორგში, ნორჩეპინგსა და მალმიოში, ამ ქვეყანაში ფეხბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მოსახლეობა სულ 8,4 მილიონს შეადგენს, ფეხბურთს კი 500 ათასი კაცი თამაშობს.

ევროპის ჩემპიონატის ჩატარება შვეციას თავდაპირველად დანიასთან ერთად ჰქონდა განზრახული, მაგრამ უეფა-მ ეს გეგმა დაიწუნა და მაშინ შვეციამ ევროპის ჩემპიონატის ჩატარება მთლიანად თავის თავზე აიღო.

## სწორი არჩევანია?

საფრანგეთის ტელევიზიამ ფეხბურთის გულშემატკივრებს ერთი კითხვა დაუსვა: „სწორად მიგაჩნიათ თუ არა მიშელ პლატინის დანიშვნა საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად?".

ტელევიზიამ 6.000 პასუხი მიიღო. გამოკითხულთა 82 პროცენტს პლატინის დანიშვნა სწორად მიაჩნია.

## პროხასკა — № 1

ავსტრიის № 1 ფეხბურთელად სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად აღიარებულია 33 წლის ნახევარმცველი ჰერბერტ პროხასკა (იგი ვენის „აუსტრიაში" თამაშობს). 1984 და 1985 წლებში მან ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა ანალოგიურ რეფერენდუმში.

ასეთი ასაკის მიუხედავად პროხასკა ნაკრების მწვრთნელმა ი. ჰიკერსბერგმა კვლავ მიიწვია ეროვნულ ნაკრებში. ამას წინათ მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ვენაში თურქეთის წინააღმდეგ (3:2 ავსტრიელთა სასარგებლოდ) პროხასკამ ნაკრებში მეოთხმოცედ ითამაშა.

## მსაჯის შეურაცხყოფისათვის

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ 6 თვით აუკრძალა ვინკოვცის კლუბ „დინამოსთან" მუშაობა მწვრთნელს ტონჩი ვუკუტიჩს, რომელმაც ერთ-ერთი კალენდარული მატჩის დროს მსაჯს შეაგინა.

## საინტერესო წინადადება ვალკარეჯის

ვენის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად შესთავაზა ცნობილ იტალიელ სპეციალისტს ფერუჩიო ვალკარეჯის სათავეში ჩაუდგეს ავსტრიის ნაკრებს (ვალკარეჯი 69 წლისაა). იტალიელებმა 1970 წელს მისი ხელმძღვანელობით მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.



## ჯერჯერობით არავინ აპირებს

როგორც ესპანეთის კლუბ „ბარსელონას" მწვრთნელი იოჰან კრუიფი მიიჩნევს, მას ინგლისელი ფეხბურთელი გარი ლინეკერი დიდად არ გამოადგება. იგი ხშირად ავადმყოფობს, სუსტად ითამაშა ევროპის ჩემპიონატზეც. ამიტომ „ბარსელონამ" ლინეკერის გვარი „ტრანსფერ-ლისტში" (გასაყიდი მოთამაშეების სია) მოათავსა. ვისაც ინგლისელის ყიდვა სურს, დიდი თანხა—4,3 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს. ლინეკერის კონტრაქტი კატალონურ კლუბთან 1989 წლის ბოლომდე გრძელდება. ჯერჯერობით მის ყიდვას არავინ აპირებს. „მანჩესტერ იუნაიტედმა" განაცხადა, რომ თანხა ძალიან დიდია.

## კლუბის აქციები შეიძინა

ცნობილმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა, რომელიც წლების განმავლობაში შოტლანდიის ნაკრებში გამოდიოდა, ახლა კი „გლაზგო რეინჯერსს" უდგას სათავეში, მილიონნახევარ დოლარად შეიძინა თავისი კლუბის აქციების 10 პროცენტი.

## ჭადრაკი

# ნახევარფინალში [illegible] მოჭადრაკეები [illegible]

**მექსიკის** საკურორტო ქალაქ მატაცლანში გრძელდება ფინალური ტურნირი „სწრაფ ჭადრაკში" (30-30 წუთიანი პარტიები).

თავდაპირველად გამოვლინდა 8 უძლიერესი მოჭადრაკე — ანატოლი კარპოვი, ვიქტორ გავრიკოვი, რაფაელ ვაჰანიანი, ვლადიმერ ტუკმაკოვი, იან ელვესტი, რომან ჯინჯიხაშვილი, მაქსიმ დლუგი (ორივე — აშშ), გაბორ კალაი (უნგრეთი). შემდეგ კი ნახევარფინალისტები — ანატოლი კარპოვი (სძლია ჯინჯიხაშვილს — 2,5:1,5), ვიქტორ გავრიკოვი (დაამარცხა კალაი — 2,5:1,5), ვლადიმირ ტუკმაკოვი (გაიმარჯვა ვაჰანიანთან — 2,5:1,5) და იან ელვესტი (სძლია დლუგს — 2,5:1,5).

გამარჯვებულები ასე დაწყვილდნენ: ანატოლი კარპოვი — იან ელვესტი, ვლადიმირ ტუკმაკოვი — ვიქტორ გავრიკოვი.

# ჩემპიონები გამოვლინდნენ

**დედაქალაქის** მოჭადრაკე ვაჟთა მე-60 ჩემპიონატის VIII ტურის ტექნიკური შედეგები: პაქსაშვილი-სხილაძე — 1:0, ცქიტიშვილი-ვაშაკიძე — 1:0, ნეჩაევი-დაბრუნდაშვილი — 1:0, მოვსესიანი-სიგუა — 1:0, მიქაელიანი-თანდაშვილი — 1:0, გადაიდო მესტვირიშვილ-ჩიქოვანის, გოგიჩაიშვილ-ხანთაძისა და ხაჩიძე-ლობჟანიძის პარტიები.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: დავით პაქსაშვილი — 6 (1), დავით ლობჟანიძე — 5 (2), გივი გოგიჩაიშვილი — 5 (1), გია ცქიტიშვილი — 5.

**დამთავრდა** 1971 წელს და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა, გთავაზობთ ბოლო, XI ტურის შედეგებს:

**გოგონები:** ხურცილავა-ფაჩულია — 1:0, სახოკია-როჰიკაშვილი — 1:0, ლომინეიშვილი-გრიგალაშვილი — 0:1, კემულარია-მოდებაძე — 1:0, ღლონტი-ეძგვერაძე — 0:1, ლებანიძე-ნიკოლაძე — 0,5:0,5.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონის სახელი 9,5 ქულით მოიპოვა ქუთაისის № 15 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა სოფიკო ნიკოლაძემ (მწვრთნელი ლამარა ჩიბურდანიძე). II-III ადგილები 8,5-8,5 ქულით გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა ნატო ეძგვერაძემ (მწვრთნელი გიორგი ხომერიკი) და მარინე ლებანიძემ (მწვრთნელი თამარ ხუგაშვილი). დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. ინგა ხურცილავა — 8, V-VI. მაია ლომინეიშვილი, ეკა კემულარია — 6-6, VII. მაია გრიგალაშვილი — 5,5, VIII. თამარ ფაჩულია — 4,5, IX. თეა სახოკია — 4, X. ნინო ღლონტი — 3,5, XI-XII. შორენა მოდებაძე, თამარ როჰიკაშვილი — 1-1.

**ჭაბუკები:** ტიკურიშვილი-გოგოლაძე — 1:0, დგებუაძე-ჯანგობეგოვი — 1:0, კვარაცხელია-უთმელიძე — 1:0, იაშვილი-მასხარაშვილი — 1:0, ყაშაშვილი-კეკელიძე — 0:1, ხაბურზანია-პოპოვი — 0,5:0,5.

აქ კი ჩემპიონის სახელი მეორედ მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა იანის პოპოვმა (მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე) — 9 ქულა, გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი დავით ტიკურიშვილი (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი). დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: III-IV. დიმიტრი ჯანგობეგოვი, ალექსანდრე დგებუაძე — 6,5-6,5, V-VII. აკაკი იაშვილი, გია გოგოლაძე, კახა ხაბურზანია — 6-6, VIII-IX. მიხეილ კეკელიძე, ბექა კვარაცხელია — 4,5-4,5, X-XI. დავით უთმელიძე, თემურ მასხარაშვილი — 3,5-3,5, XII. ალექსანდრე ყაშაშვილი — 2.

გოგონათა ტურნირის სამივე პრიზიორი და ჭაბუკებში I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები გაისად, წლის დასაწყისში მონაწილეობას მიიღებენ თანატოლთა საკავშირო პირველობებში.

**ვასილ ვაშაკიძე.**

# სასიხარულოც, არასასიამოვნოც...

**საქართველოს** პროფკავშირთა მძლეოსნობის სასახლეში დამთავრდა ამავე სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ქალთა ტურნირი. როგორც იცით, ბოლო ტურში ყურადღების ცენტრში იყო ჯანჯღავა — ბელაკოვსკაიას პარტია. საქმე ისაა, რომ ყაიმის ან მოგების შემთხვევაში ოდესელ ოსტატს ვერავინ დაეწეოდა, ხოლო ქართველი ოსტატობის კანდიდატის მოგების შემთხვევაში იგი ქულებს იყოფდა ტურნირის გამარჯვებულთან და, როგორც შემდეგ გამოირკვა, კიდევ ორ მოჭადრაკესთან ერთად. მაგრამ ნათია ჯანჯღავამ ამჯერად სხვა კონკრეტული მიზანი დაისახა. იგი არ „დახარბდა" I ადგილს, არ გაამწვავა ბრძოლა, დაუზავდა მეტოქეს და სასურველი 8 ქულა მოაგროვა, სწორედ იმდენი, რამდენიც სჭირდებოდა ოსტატობის ნორმის შესასრულებლად. ამგვარად, საქართველოს მოჭადრაკე ქალებს მეტად ნიჭიერი ახალგაზრდის ნათია ჯანჯღავას სახით ახალი ოსტატი შეემატათ. ბელაკოვსკაია კი, როგორც ვთქვით, ამ ნახევარმა ქულამ მიუწვდომელი გახადა მეტოქეთათვის.

ალბათ გახსოვთ, და ამაზე წინა მიმოხილვაშიც გავამახვილეთ ყურადღება, თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე გათამაშებას სათავეში სედინა ედგა. მაგრამ საკმარისი იყო XI-XII ტურებში მას სულ რაღაც ნახევარი ქულა აეღო, რომ დათმო პოზიციები და ბოლო ტურში ლანჩავასთან მოგებამაც ვეღარ უშველა. კიევლი ოსტატისთვის ისიც დასანანია, რომ უარესი კოეფიციენტის გამო მან წინ გაუშვა იარმოლინსკაია, თვითონ კი მესამე საფეხურზე აღმოჩნდა. დიახ, ასეც ხდება, ერთ, თითქოს უმნიშვნელო ჩავარდნას, შეიძლება ძალიან არასასიამოვნო შედეგი მოჰყვეს.

არასასიამოვნოო, ვთქვით და ჩვენთვის რა უნდა იყოს იმაზე უსიამოვნო და დასანანი, როცა 14 მონაწილეს შორის საქართველოს 7 მოჭადრაკე იყო და მხოლოდ ერთმა შეძლო პირველ ხუთეულში დამკვიდრება. ვფიქრობთ, ამაზე გვმართებს დაფიქრება!

**XIII ტურის** შეხვედრები ასე დამთავრდა: ველიხანლი-ხურციძე — 0,5:0,5, ლაგვილავა-უმანსკაია — 1:0, იარმოლინსკაია-შუმიაკინა — 1:0, ჯანჯღავა — ბელაკოვსკაია — 0,5:0,5. ლანჩავა-სედინა — 0:1, ტერელაძე-სადუნიშვილი — 0:1, ქასოშვილი-დომარკაიტე — 0:1.

საბოლოოდ სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: I. ანჯელა ბელაკოვსკაია (ოსტატი, ოდესა) — 9 ქულა, II. მარინა იარმოლინსკაია (ოსტატი, ოდესა), III. ელენა სედინა (ოსტატი, კიევი) — 8,5-8,5, IV. ნათია ჯანჯღავა (ოსტატი, თბილისი) — 8, V. ტატიანა შუმიაკინა (ოსტატი, ჩელიაბინსკი), VI. ირინა უმანსკაია (ოსტატი, მოსკოვი) — 7,5-7,5, VII. ჰენრიეტა ლაგვილავა (ოსტატი, ქუთაისი) — 7, VIII. ლია სადუნიშვილი (ოსტატობის კანდიდატი, თბილისი) — 6,5, IX. ციალა ქასოშვილი (ოსტატი, გორი), X. ფირუზა ველიხანლი (ოსტატი, ბაქო) — 5,5-5,5, XI. თეა ლანჩავა (ფიდე-ს ოსტატი, თბილისი) — 5, XII. სოფიკო ტერელაძე (ოსტატი, სამტრედია), XIII. ლაიმა დომარკაიტე (ოსტატი, ვილნიუსი) — 4,5-4,5, XIV. ნინო ხურციძე (ოსტატობის კანდიდატი, თბილისი) — 4.

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე

# მეტოქე გულიტის სამშობლოდან

ყოველ დიდ ასპარეზობას ახალი სახელები მოაქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ახალგაზრდა მოკრივეთა თბილისის VII საერთაშორისო ტურნირია. გუშინდლამდე 79 ბრძოლა გაიმართა და ნახევარფინალში არაერთი საინტერესო წყვილის შეხვედრა იხილეს მაყურებლებმა, რომელთა ყურადღება უთუოდ პირველი საშუალო წონის ახალბედა ჰოლანდიელის იფალ რემონის (ისიც ცნობილი ფეხბურთელის, გულიტის მსგავსად, სურინამიელია წამოშობით) ტემპერამენტიანმა ბრძოლამ მიიპყრო. ამ სპორტსმენს თბილისში ჩამოსვლამდე სულ 9 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული და შეხვედრათა პირველი ათეული სწორედ აქ დაასრულა, როცა საკმაოდ გამოცდილ ჩეხოსლოვაკიელ მეტოქეს რ. ბუკორს დაძაბულ ბრძოლაში გამოსტაცა გამარჯვება. ნახევარფინალში მან ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია თავისზე უფრო ბევრად გამოცდილ, ლენინგრადელ ი. ბორისოვს. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალში გასასვლელად. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ახალგაზრდა ჰოლანდიელი უკმაყოფილო არ უნდა ტოვებდეს თბილისს და ის ბრინჯაოს მედალი, რომელიც მან აქ მოიპოვა, მისი მომავალი წარმატებების სავიზიტო ბარათად იქცევა.

რაც შეეხება საქართველოს წარმომადგენლებს, ისინი, ვინც პირველი ორთაბრძოლა წარმატებით განვლო, ბოლომდე შემორჩა ასპარეზობას. მაგრამ ფინალისაკენ მიმავალი გზა საკმაოდ ძნელი გამოდგა.

ცნობილია, რომ კუბელთა კვალდაკვალ საერთაშორისო სარბიელზე ჰეგემონიის მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტები არიან ბულგარელი მოკრივეებიც. მათ ამ პრეტენზიის საფუძვლიანობა აქაც დაამტკიცეს — ნახევარფინალში 3 მონაწილე ჰყავდათ. სწორედ ერთ-ერთ მათგანს — დანიელ პეტროვს (48 კგ) აღუდგა წინ თბილისელი სპორტის ოსტატი არმენ გევორქიანი. იგი სამივე რაუნდის განმავლობაში ავიწროვებდა მეტოქეს და გამარჯვებასაც მიაღწია. ფინალში, რომელიც გუშინ გაიმართა, მასპინძლის მეტოქე იყო კუბელი ექტორ ბარიენტოსი, რომელმაც რუმინელი სორინ დიმა დაამარცხა.

სხვათა შორის, კუბელებსა და რუმინელებს ტურნირის ამ ეტაპზე 5-5 სპორტსმენი შემორჩათ. ფინალში ოქროს მედლისათვის იბრძოდა აგრეთვე მეორე ქვესაშუალო წონის თბილისელი ვაგიფ აბასოვი. მან ეს უფლება სსრ კავშირის ნაკრების წევრ იგორ მედვედევის დამარცხების შედეგად მოიპოვა. გამარჯვებულ თანაგუნდელებს მხარი აუბა ქუთაისელმა აკაკი კაკაურიძემ, რომელსაც ირკუტსკელ ილიას ფატახოვის სახით ფიზიკურად ძლიერი მეტოქე ჰყავდა.

## გუშინ...

**გაიმართა ფინალური შეხვედრები. ტურნირის გამარჯვებულები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: 48 კგ. არმენ გევორქიანი (თბილისი); 51. კასამერ იოგლი (კუბა); 54. სერგეი აფანასიევი (კუიბიშევი); 57. ალექსანდრ მესა (კუბა); 60 ფიოდორ სოკოლოვი (ლენინგრადი); 63,5. ნარიმან ატაევი (სსრ კავშირი); 67. ვაგიფ აბასოვი (თბილისი); 71. აკაკი კაკაურიძე (ქუთაისი); 75. რამონ გარბეი (კუბა); 81. ალექსანდრ გუროვი (სსრ კავშირი); 91. ვასილე ადუმეტრიცე (რუმინეთი); +91. არმენ ბურდიანცი (თბილისი).**

## კონსტანტინე ნუშტაევი

გარდაიცვალა შრომის, ომისა და სპორტის ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კონსტანტინე პროკოფის ძე ნუშტაევი. დაიბადა 1912 წელს ბაქოში. 12 წლისამ ნავთობის სარეწებზე დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა ელექტრიკოსის მოწაფედ. იქვე — სპორტსაზოგადოება „ნეფტიანიკში“ ეზიარა სპორტს. კერძოდ, კლასიკურ ჭიდაობაში დაიწყო ვარჯიში.

1940 წელს დაიწყო მთამსვლელობა და მიენიჭა ალპინიზმის ინსტრუქტორის წოდება. 1941 წელს, სამამულო ომის დაწყებიდან ბაკურიანშია და ამზადებს სამთო ჯარების კადრებს. მონაწილეობდა ბრძოლებში კავკასიონის დასაცავად.

1944 წლიდან თბილისშია — სპორტსაზოგადოებების „ტრუდისა“ და „ლოკომოტივის“ კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ავარჯიშებდა. მომზადებული ჰყავს 20-ზე მეტი სპორტის ოსტატი. მონაწილეობდა აგრეთვე საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავთან დაკავშირებით მყინვარწვერზე მასობრივ საიუბილეო ასვლაში, რომელიც „502“-ირ არის ცნობილი.

1965 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება, იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და საბრძოლო მედლებით.

კ. ნუშტაევი სპორტულ ჟურნალისტიკაში, კერძოდ, საქართველოს რადიოშიც აქტიურად თანამშრომლობდა.

ახალგაზრდობის აღმზრდელის ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.**



სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# დამატებით ხუთ წუთში

**მოსკოვი.** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ვილნიუსის „სტატიბას“ შორის გაცილებით უფრო მძაფრი და საინტერესო გამოდგა. პირველი შეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, დინამოელებმა მოიგეს. მეორე შეხვედრის პირველი ტაიმიც ცუდს არაფერს უქადდა მასპინძლებს. „დინამომ“ იგი 5 ქულის უპირატესობით (55:50) მოიგო.

შესვენების შემდეგ უპირატესობა ნელ-ნელა სტუმრების მხარეს გადავიდა. მერე თამაში გათანაბრდა და ძირითადი დროც ფრედ 98:98 დამთავრდა. ყველაფერი დამატებით ხუთ წუთში გადაწყდა. ეს მონაკვეთი „სტატიბამ“ უკეთ ჩაატარა და გაიმარჯვა — 107:105.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 17 დეკემბრისთვის**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 14 | 9 | 5 | 1359-1325 | 23 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 8 | 6 | 1398-1343 | 22 |
| ცსკა | 10 | 10 | 0 | 1019-798 | 20 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 14 | 6 | 8 | 1287-1238 | 20 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 12 | 5 | 7 | 967-1044 | 17 |
| „კალევი“ (ტალინი) | 12 | 5 | 7 | 1009-1036 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 14 | 2 | 12 | 1221-1426 | 16 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 7 | 1 | 800-731 | 15 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 8 | 7 | 1 | 754-687 | 15 |
| რტი (მინ.) | 10 | 5 | 5 | 848-843 | 15 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 12 | 3 | 9 | 903-1014 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 12 | 3 | 9 | 1024-1113 | 15 |

# ევროპის საკლუბო ტურნირებზე

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების მორიგი ტურის მატჩები.

**კორაჩის თასი.** I ჯგუფი. „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „ასიბელი“ (ბელგია) 98:91, „დივარეზე“ (იტალია) — „ესტუდიანტესი“ (ესპანეთი) 93:71. II ჯგუფი. „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ხუვენტუდი“ (ესპანეთი) 89:86, „ზადარი“ (იუგოსლავია) — „ჰაპოელი“ (ისრაელი) 93:84; III ჯგუფი. „ფილიპს ტრეისერი“ (მილანი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 101:81, „სარაგოსა“ (ესპანეთი) — „მაეს პილსი“ (ბელგია) 82:75; IV ჯგუფი. „ორტეზი“ (საფრანგეთი) — „დენ ჰელდერი“ (ჰოლანდია) 87:86, „ვისმარი“ (იტალია) — „სტროიტელი“ (კიევი) 109:97 (60:45). ამ მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები: იტალიელებში — ტერნერი (23), რივა (22), „სტროიტელში“ — შაპტალა (25), ვოლკოვი (22), პოდკოვიროვი (17).

**ჩემპიონთა თასი.** „ლიმოჟი“ (საფრანგეთი) — „მაკაბი“ (ისრაელი) 67:87, „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „არისი“ (საბერძნეთი) 97:81, „სკავოლინი“ (იტალია) — „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) 88:75, „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — ცსკა (მოსკოვი) 83:80 (44:43).

„სკავოლინისა“ და „ბარსელონას“ ორ-ორი გამარჯვება აქვთ, „მაკაბის“, „იუგოპლასტიკასა“ და „ნაშუა დენ ბოშს“ — თითო-თითო. ცსკა-სა და „ლიმოჟს“ ჯერ ფინალური შეხვედრა არ მოუგიათ.

სსრ კავშირის პირველობა ◎ I ლიგა

# მოგებაც და წაგებაც

**საქართველოს** პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) კიდევ ორი მატჩი ჩაატარა შინ როსტოვის გუნდთან. მასპინძლები პირველ შეხვედრაში ძირითადი მოთამაშეების გარეშე იბრძოდნენ და, ცხადია, მეტოქეს სასურველი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს — 61:81 (31:44).

განმეორებით მატჩში თბილისელებმა უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა შეძლეს. მე-7 წუთიდან დაწინაურებულ მასპინძლებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ და რევანშიც აიღეს — 86:74. ამ შეხვედრის საუკეთესო სნაიპერი ოლგა კორკოტაძე იყო — 28 ქულა.

# დოპინგს სასტიკი ბრძოლა

გფრ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვილი დაუმე არჩეულია სპორტის განვითარების დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარედ. ამ პოსტზე მან 76 წლის იოზეფ ნეკერმანი შეცვალა.

ჟურნალისტებთან საუბრისას დაუმემ ილაპარაკა საზოგადოების გეგმებზე, რაც, პირველ ყოვლისა, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლით უნდა გამოიხატოს. ჩვენმა საზოგადოებამ, — განაცხადა ახალმა თავმჯდომარემ, — ამ საკითხის ირგვლივ შეიმუშავა საკმაოდ ვრცელი პროგრამა, რომელსაც ჯერ ფართო მკითხველს გავაცნობთ, მერე სპორტის ეროვნულ ფედერაციებს შევუთანხმებთ და ბოლოს, მთავრობას გადავცემთ დასამტკიცებლად. დოპინგს ყველა ქვეყანამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი მისი საბოლოო დამარცხება.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 50-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც 11 დეკემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 1.647,182 ვარიანტი. ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ვარიანტი) მოგება 3.014 მანეთია, ოთხისთვის (2012) — 36, სამისთვის (36 110) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 16.947.721 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (47 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (8 477) — 101, სამისთვის (241.882) — 5.

50-ე ტირაჟების მოგებები გაიცემა 1988 წლის 26 დეკემბრიდან 1989 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

# „ჯესი ოუენსის“ პრემიები

**ნიუ-იორკი.** ტანვარჯიშის სეულის ოლიმპიადის ოთხგზის ჩემპიონი ვლადიმერ არტიომოვი კიდევ ერთი პრესტიჟული პრიზით დაჯილდოვდა. მას გადაეცემა „ჯესი ოუენსის“ პრემია, რომელსაც სპორტსმენი იმსახურებს მაღალ მაჩვენებლებისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებისთვის.

ამ პრიზით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე: შტეფი გრაფი (გფრ), მეტ ბიონდი, ჯეკი ჯოინერ-კირსი, კარლ ლუისი (ყველა — აშშ), ჯონ ნგუგი (კენია), კრისტინ ოტო და კატარინა ვიტი (ორივე — გდრ), ალბერტო ტომბა (იტალია), სიუ იან მეი (ჩინეთი).

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა

არსებობს სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ორი სახე — „ავტო-კასკო“ და „ავტო-კომბი“.

„ავტო-კასკო“ ითვალისწინებს დაზღვევას იმ ტრანსპორტისა, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას: ავტომობილი, მოტოციკლები, მოტოროლერი, მოტოეტლი, მოპედი, მოტორიანი, იალქნიანი, ნიჩბიანი ნავები (გასაბერის გარდა), კატერი, იახტა.

სადაზღვევო ხელშეკრულებით ანაზღაურდება ავარიის (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა), ხანძრისა და სხვა სტიქიური უბედურების, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების გატაცების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი.

სადაზღვევო თანხას განსაზღვრავს დამაზღვეველი, ხელშეკრულება იდება 2 თვიდან ერთ წლამდე ვადით.

„ავტო-კომბით“ შეგიძლიათ დააზღვიოთ ავტომობილები (მათ შორის, მისაბმელიანი), რომლებიც რეგისტრირებულია ან ექვემდებარება რეგისტრაციას სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში.

ხელშეკრულების მიხედვით დაზღვეულად ითვლებიან ერთდროულად მძღოლიც და ავტომობილის დამაზღვეველიც, აგრეთვე ტვირთი, რომელიც ავტომობილში ან მის მისაბმელშია.

დაზღვევა ორნაირია: ა) ზარალის სრული ანაზღაურებით — ამ შემთხვევაში სადაზღვევო გადასახადი შეადგენს ავტომანქანის ღირებულების 2 პროცენტს ტარიფის მიხედვით; ბ) დამაზღვეველის პირადი მონაწილეობით 150 მანეთამდე ზარალში — გადასახადია 1 პროცენტი ტარიფის მიხედვით.

„ავტო-კომბის“ პირობების მიხედვით სადაზღვევო ხელშეკრულება უზრუნველყოფს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით, აგრეთვე, ავტომობილის ცალკეული დეტალებისა და ნაწილების, ტვირთისა და დამატებითი აღჭურვილობის დაზიანებით ან მოპარვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას (გატაცების ფაქტისაგან დამოუკიდებლად).

ამასთან, ხელშეკრულების აუცილებელი პირობაა ავტომობილის დაზღვევა მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით ე. ი. გაცვეთის გათვალისწინებით.

**საქართველოს სსრ სახდაზღვევის მთავარი სამმართველო, საქართველოს სარეკლამო სააგენტო.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 ~~7 8 9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 ~~18~~ 19 20 უე 05650